EUROPEAN UNION

EU-GEORGIA BUSINESS COUNCIL

# მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებული ცოცხალი ცხოველების, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ფრინველის, ფრინველის ხორცისა და კვერცხის სერტიფიცირების პრობლემატიკა

მომზადებულია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს მიერ

თბილისი 2009

**ევროკავშირი** 27 ევროპული სახელმწიფოს* პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც თანდათანობით, 50 წლიანი ისტორიის მანძილზე ვითარდებოდა. დღეს ევროკავშირის სახელმწიფოებს შორის საზღვრები ღიაა და ისინი საერთო სავაჭრო სივრცით და საერთო ვალუტით სარგებლობენ. ევროკავშირი მზადაა თავისი ფასეულობები და გამოცდილება სხვა სახელმწიფოებს გაუზიაროს. ინფორმაცია საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის შესახებ იხილეთ ვებ-გვერდის მისამართზე www.delgeo.ec.europa.eu

**ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო (EUGBC)** ქართული და ევროპული კომპანიების მიერ 2006 წლის დასაწყისში, ბრიუსელში, არაკომერციული იურიდიული პირის ფორმით დაფუძნდა. საბჭოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ინვესტიციებისა და სავაჭრო ბრუნვის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს. ინფორმაცია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს შესახებ იხილეთ ვებ-გვერდის მისამართზე www.eugbc.net

*ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ესტონეთი, ირლანდია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი და ჰოლანდია.

## მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებული ცოცხალი ცხოველების, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ფრინველის, ფრინველის ხორცისა და კვერცხის სერტიფიცირების პრობლემატიკა

მომზადებულია **ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს** მიერ

**სარედაქციო ჯგუფი:** *კონსტანტინე ზალდასტანიშვილი*
*იოსებ ნანობაშვილი*
*ალექსანდრე ხვთისიაშვილი*

ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო მადლობას უხდის **პოლიტიკისა და სამართლის ქართულ-ევროპულ საკონსულტაციო ცენტრს** (**GEPLAC**) პუბლიკაციის მომზადების პროცესში განეული დახმარებისთვის.

წინამდებარე პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირის პოზიციად.

© European Commission

ISBN 978-9941-0-1534-2

# სარჩევი


1. შესავალი _____ 3

2. ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის მიზნით, მესამე ქვეყნებში წარმოებული ცოცხალი ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების სერტიფიცირების ძირითადი ასპექტები _____ 5

3. ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის მიზნით, მესამე ქვეყნებში წარმოებული შინაური ფრინველის, ფრინველის ხორცის, კვერცხისა და კვერცხის პროდუქტების სერტიფიცირების ძირითადი ასპექტები ___ 11

4. ცოცხალი ცხოველების, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ფრინველის, ფრინველის ხორცისა და კვერცხის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის შესახებ, მესამე ქვეყნის განაცხადის ევროკავშირის მიერ დამტკიცების პროცედურა _____ 14

დანართი პუბლიკაციაში გამოყენებული ევროკავშირის საკანონმდებლო დოკუმენტები _____ 20

**Summary** Certification of the live animals, products of animal origin, poultry, meat of poultry and eggs exported to the European Union market from third countries _____ 21

# 1. შესავალი

მესამე ქვეყნებიდან[1] ევროკავშირის ბაზარზე ცოცხალი ცხოველების, ცხოველური წარმოშობის პროდუქციის, ფრინველის, ფრინველის ხორცისა და კვერცხის ექსპორტირებისას სერტიფიცირების წესების დაცვა ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს. ამ მიზნით, ევროკავშირს შესაბამისი კანონმდებლობა აქვს შემუშავებული, რომელიც მრავალი ათეული განაწესისაგან შედგენილი რთული სისტემაა. საგულისხმოა, რომ ხსენებული კანონმდებლობით განსაზღვრული სერტიფიცირების წესები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თითქმის სრულად არის ჰარმონიზებული. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საქონლის სერტიფიცირების წესი არ არის ჰარმონიზებული ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, ეს წესები რეგულირდება ცალკეული წევრი ქვეყნების კანონმდებლობით და შესაბამის კონტროლსაც ცალკეული ქვეყნები ახორციელებენ.

სერტიფიცირების შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობით მოთხოვნილი სერტიფიკატების უმრავლესობა დაკავშირებულია ცხოველების, ფრინველების და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან. ხსენებულ საკითხებზე პასუხისმგებლობა ევროკომისიის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის გენერალურ დირექტორატს (DG SANCO) აკისრია. იმის გათვალისწინებით, რომ 27 ქვეყნისაგან შემდგარ ევროკავშირში ოფიციალურად 23 ენაა აღიარებული, მნიშვნელოვანია, თუ რომელ ენაზე იქნება შევსებული სერტიფიკატები. ევროკავშირის საბჭოს 2002 წლის 16 დეკემბრის No 99 დირექტივის[2] მიხედვით, სერტიფიკატები უნდა შეივსოს ევროკავშირის წევრი იმ ქვეყნის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, რომლის საბაჟო სამსახურებიც, ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთისას, საქონლის ინსპექტირებას ახორციელებენ და საქონლის დანიშნულების ქვეყნის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, ან უნდა ახლდეს ოფიციალური თარგმანი ამ ენებზე. საგულისხმოა, რომ ევროკავშირის წევრმა ქვეყანამ, ევროკავშირის სხვა ოფიციალურ ენაზე შევსებული სერტიფიკატიც შეიძლება მიიღოს.

სერტიფიკატების შევსებისას მკაცრად უნდა იქნეს დაცული ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. ვეტერინარული სერტიფიკატი უნდა იყოს შევსებული და ხელმოწერილი ოფიციალური ვეტერინარის მიერ, ევროკავშირის

1 მესამე ქვეყნებად იწოდებიან ის სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები, იმ ქვეყნების ჩათვლით, რომლებიც ევროკავშირთან სპეციალური პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობებით სარგებლობენ (ევროკავშირის ასოცირებული წევრი ქვეყნები, ევროკავშირთან სტაბილურობისა და ასოცირების შესახებ შეთანხმებით დაკავშირებული ქვეყნები, ა.შ.).

2 იხილეთ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს ვებ-გვერდი: www.eugbc.net – EUGBC Brochures

ბაზარზე საექსპორტო პროდუქციის ჩატვირთვამდე არაუმეტეს 24 საათით ადრე და მისი ვადა 10 დღით უნდა განისაზღვროს. საზღვაო ტრანსპორტის შემთხვევაში, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს საზღვაო ტრანსპორტის გზაში ყოფნის ვადით. ასეთ შემთხვევაში, გემის კაპიტანმა უნდა გასცეს შესაბამისი დეკლარაცია. ხელმოწერა და ბეჭედი სერტიფიკატზე უნდა იყოს სერტიფიკატის შევსების შრიფტის ფერისგან განსხვავებული ფერის. სერტიფიკატს უნდა გააჩნდეს საიდენტიფიკაციო ნომერი და მისი გვერდები უნდა დაინომროს.

ცალკეული სასაქონლო ჯგუფებისათვის ევროკომისიას შედგენილი აქვს მესამე ქვეყნების და ამ ქვეყნებში მოქმედი იმ საწარმოების ნუსხა, რომლებში წარმოებული საქონელიც ევროკავშირის ბაზარზე შეიძლება იქნეს ექსპორტირებული. ამ ნუსხაში ჩასართავად, მესამე ქვეყნების კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურები ევროკომისიის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის გენერალური დირექტორატის (DG SANCO) სურსათისა და ვეტერინარიის ოფისს (Food and Veterinary office - FVO) შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენენ.

მესამე ქვეყნის კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურა დარწმუნებული უნდა იყოს და უნდა დაასაბუთოს, რომ მის მიერ შერჩეული საწარმოს პროდუქცია და ევროკავშირის ბაზარზე ამ პროდუქციის ექსპორტი, ევროკავშირის სტანდარტებს შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ საწარმოებზე პასუხისმგებლობას ფაქტობრივად მესამე ქვეყნის ოფიციალური სტრუქტურები იღებენ, ევროკავშირის შესაბამისი სამსახურები (ამ შემთხვევაში ევროკომისია), როგორც წესი, თავადაც ახდენენ ამ საწარმოების შესწავლა-ინსპექტირებას და მხოლოდ ამის შემდეგ შეაქვთ ისინი ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტიორ მესამე ქვეყნების საწარმოთა ნუსხაში. გარდა ამისა, ევროკომისიას შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის კითხვარები, რომლებიც მესამე ქვეყნის კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურების მიერ უნდა იქნეს შევსებული. ამ კითხვარებში მითითებული ინფორმაციის ანალიზის შედეგები მნიშვნელოვნად განაპირობებს საბოლოო დასკვნას, შეესაბამება თუ არა ამა თუ იმ ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია ევროკავშირის სტანდარტებს. თუ ევროკომისიამ, ინპექტირების შედეგად დაადგინა, რომ მესამე ქვეყნის კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურის მიერ წარდგენილი საწარმო არ აკმაყოფილებს ევროკავშირის მოთხოვნებს, ეს მესამე ქვეყნის კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურის სისუსტედ აღიქმება და მის მიმართ ევროპული მხარის ნდობაზე უარყოფითად იმოქმედებს. სწორედ ამიტომ, მესამე ქვეყნის კომპეტენტურმა სახელმწიფო სტრუქტურამ, ევროკავშირისათვის საწარმოების წარდგენისას, თავისი დიდი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს.

ხსენებულ ინსპექტირების წესებს ევროკომისიის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა დაცვის გენერალური დირექტორატი[3] აყალიბებს და ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის მიერ შემუშავებული, მესამე ქვეყნებში წარმოებული საქონლის სერტიფიცირების შესახებ კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო ნორმებთან, კერძოდ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის[4] სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმების შესახებ შეთანხმების დებულებებთან. ცოცხალი ცხოველების და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის შესახებ, მესამე ქვეყნის განაცხადის ევროკავშირის მიერ დამტკიცების პროცედურა დაწვრილებით წინამდებარე პუბლიკაციის მე-4 თავშია აღწერილი.

წინამდებარე პუბლიკაციის მე-2 და მე-3 თავებში კი ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის მიზნით, მესამე ქვეყნებში წარმოებული ცოცხალი პირუტყვის, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ფრინველის, ფრინველის ხორცის, კვერცხის და კვერცხის პროდუქტების სერტიფიცირების ძირითადი ასპექტებია მოცემული. პუბლიკაციაში მოყვანილია ასევე რიგი რეკომენდაციებისა, რომლებიც მესამე ქვეყნების, კერძოდ საქართველოს, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისათვის იქნება საინტერესო.

## 2. მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებული ცოცხალი ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების სერტიფიცირების ძირითადი ასპექტები

წინამდებარე პუბლიკაციაში აღწერილი სერტიფიცირების პროცედურა ცოცხალი ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების იმ ე.წ. "ძირითად სახეობებს" ეხებათ, რომლებიც ტიპურია საქართველოსთვის. ეს სახეობებია მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, წვრილრქოსნები, ღორი, ტახი და სხვა გავრცელებული ჯიშის ცხოველები, ასევე ახალი ხორცი და ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტები.

მესამე ქვეყნებში წარმოებული ცოცხალი ცხოველებისა და ახალი ხორცის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის მარეგულირებელ ძირითად საკანონმდებლო დოკუმენტს ევროკავშირის საბჭოს 1976 წლის 21 დეკემბრის No 79/542 გადაწყვეტილება[5] წარმოადგენს. იგი შეიცავს

3 http://ec.europa.eu/dgs/health_consumer/index_en.htm

4 http://www.who.int/topics/sanitation/en

5 იხილეთ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს ვებ-გვერდი: www.eugbc.net – EUGBC Brochures

იმ მესამე ქვეყნების ან მათი ტერიტორიის ნაწილების ჩამონათვალს, რომლებსაც ევროკავშირის ბაზარზე ცოცხალი ცხოველებისა და ახალი ხორცის ექსპორტის განხორციელების უფლება აქვთ, ასევე, ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირების მიზნით, ცოცხალი ცხოველების ტრანსპორტირების წესებს, შესაბამისი სერტიფიკატების ფორმებს და მათი შევსების წესებს.

მესამე ქვეყნებიდან ცოცხალი ცხოველების და ახალი ხორცის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებისათვის:

- მესამე ქვეყანა, ან მისი ტერიტორიის ნაწილი, ევროკავშირის მიერ შეყვანილი უნდა იქნეს იმ ქვეყნების ნუსხაში, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განახორციელონ ამგვარი ექსპორტი;
- ცოცხალი ცხოველები და ახალი ხორცი უნდა აკმაყოფილებდეს ევროკავშირის მოთხოვნებს, რომლებიც შესაბამის სერტიფიკატებშია ასახული;
- ცოცხალი ცხოველების ექსპორტის შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს ტრანსპორტირების შესაბამისი წესები.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ევროკავშირმა, პირველ რიგში, უნდა სცნოს მესამე ქვეყანა, როგორც მხარე, რომელსაც აქვს უფლება განახორციელოს ცოცხალი ცხოველებისა და ახალი ხორცის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე. ეს საკმაოდ შრომატევადი და რთული მოლაპარაკებების შედეგია, რომელიც მესამე ქვეყნის კომპეტენტურ სახელმწიფო სტრუქტურასა და ევროკომისიას შორის იმართება. შესაბამისი პროცედურა დაწვრილებით წინამდებარე პუბლიკაციის მე-4 თავში იქნება განხილული.

მესამე ქვეყნებში წარმოებული ცოცხალი ცხოველებისა და ახალი ხორცის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებისას, მათ თან შესაბამისი ვეტერინარული სერტიფიკატები უნდა ახლდეს, რითაც აღნიშნული საქონლის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობა დასტურდება. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ვეტერინარული სერტიფიკატი შევსებული და დამოწმებული უნდა იქნეს მესამე ქვეყნის ოფიციალური ვეტერინარული სამსახურის მიერ.

მესამე ქვეყნებიდან ცოცხალი ცხოველების ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებისას დაცული უნდა იქნეს ტრანსპორტირების შემდეგი წესები:

- ისინი არ უნდა იქნენ მოთავსებული ერთ სატრანსპორტო საშუალებაში ისეთ ცოცხალ ცხოველებთან, რომელთა ექსპორტიც ევროკავშირის ბაზარზე არ ხდება;
- მათი სატრანსპორტო საშუალების შეცვლა (გადატვირთვა) არ უნდა მოხდეს იმ მესამე ქვეყნის ან მისი ტერიტორიის ნაწილზე, რომლებიც, ევროკავშირის მიერ, უფლებამოსილნი არ არიან

განახორციელონ ცოცხალი ცხოველების ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტი;

- ცოცხალი ცხოველების სახმელეთო ტრანსპორტით ტრანსპორტირების ვადა, წარმოშობის ქვეყანაში მათი სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვიდან ევროკავშირის საბაჟო პუნქტამდე არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს. საზღვაო ტრანსპორტის შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს საზღვაო ტრანსპორტის გზაში ყოფნის ვადით. ასეთ შემთხვევაში, ცოცხალ ცხოველებს, შესაბამისი ვეტერინარული სერტიფიკატის გარდა, თან გემის კაპიტნის მიერ გაცემული შესაბამისი დეკლარაცია უნდა ახლდეს.

ევროკავშირის საბჭოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება ცოცხალი ცხოველებისათვის ვეტერინარული სერტიფიკატების 8 ფორმას განსაზღვრავს. ესენია:

- შემდგომი გამრავლების მიზნით იმპორტირებული შინაური მსხვილფეხა რქოსანი საქონელი;
- იმპორტირებისთანავე დასაკლავი შინაური **მსხვილფეხა რქოსანი** საქონელი;
- შემდგომი გამრავლების მიზნით იმპორტირებული შინაური ცხვარი და თხა;
- იმპორტირებისთანავე დასაკლავი შინაური ცხვარი და თხა;
- შემდგომი გამრავლების მიზნით იმპორტირებული შინაური ღორი;
- იმპორტირებისთანავე დასაკლავი შინაური ღორი;
- გარეული ცხოველები გარდა ტახისა;
- გარეული ტახი.

დასაკლავად გამიზნული ცოცხალი ცხოველები, ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისთანავე სასაკლაოზე უნდა იქნენ გადაყვანილი და უნდა დაიკლან 5 დღის განმავლობაში. რაც შეეხება გამრავლების მიზნით ექსპორტირებულ ცოცხალ ცხოველებს, ისინი იმპორტისთანავე უნდა იქნენ გადაყვანილი შესაბამის ტერიტორიებზე, სადაც მათ, შემდგომ გადაადგილებამდე, მინიმუმ 30 დღე უნდა დაჰყონ.

საგულისხმოა, რომ ევროკავშირის ბაზარზე ცოცხალი ცხოველების ექსპორტიორი მესამე ქვეყნების ჩამონათვალისაგან განსხვავებით, ახალი ხორცის ექსპორტიორ მესამე ქვეყანათა შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიც გვხვდება. ევროკავშირის საბჭოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ევროკავშირის ბაზარზე ახალი ხორცის ექსპორტის განხორციელების უფლება აქვთ ბელარუსს, უკრაინას და რუსეთის ფედერაციას.

ევროკავშირის საბჭოს 1976 წლის 21 დეკემბრის No 79/542 გადაწყვეტილება ადგენს სერტიფიცირებას ახალი ხორცის პროდუქციის შემდეგი ძირითადი სახეობებისთვის:

- შინაური მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ახალი ხორცი;
- შინაური ღორის ახალი ხორცი;
- შინაური თხისა და ცხვრის ახალი ხორცი;
- შინაური ცხენისებრი ცხოველების ახალი ხორცი;
- ფერმაში მოშენებული გარეული ცხოველების ახალი ხორცი, გარდა ტახისა და კენტჩლიქოსნებისა;
- გარეული ცხოველების ახალი ხორცი, გარდა ტახისა და კენტჩლიქოსნებისა;
- ფერმაში მოშენებული ტახის ახალი ხორცი;
- გარეული ტახის ახალი ხორცი;
- გარეული კენტჩლიქოსნების ახალი ხორცი.

მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებული ახალი ხორცი მიღებული უნდა იქნეს ცხოველებიდან, რომლებიც დაკვლამდე მინიმუმ სამი თვის განმავლობაში, ან, სამ თვეზე ნაკლები ასაკის ცხოველების შემთხვევაში, დაბადებიდან აღნიშნული მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. ბუნებრივია, ზემოხსენებული მოთხოვნების გარდა, ახალი ხორცი უნდა აკმაყოფილებდეს ჯანმრთელობის დადგენილ მოთხოვნებს.

ხაზგასასმელია, რომ ევროკავშირის საბჭოს 1976 წლის 21 დეკემბრის No 79/542 გადაწყვეტილებაში დროთა განმავლობაში მრავალი ცვლილება შევიდა. მათ შორის შეიცვალა იმ მესამე ქვეყანათა სიები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, ევროკავშირის ბაზარზე ცოცხალი ცხოველების და ახალი ხორცის ექსპორტი განახორციელონ. დღემდე განხორციელებულ შესწორებათაგან უმთავრესი ევროკომისიის 2007 წლის 16 აპრილის No 240 გადაწყვეტილებაში[6] აისახა. ამ გადაწყვეტილებით, ევროკავშირმა მესამე ქვეყნებიდან იმპორტირებული ცოცხალი ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქციის სერტიფიცირების ოპტიმიზაცია განახორციელა და შესაბამისად, სერტიფიკატების ამჟამად მოქმედი ფორმები დაადგინა.

ხსენებული ოპტიმიზაციის განხორციელების მიზეზად ევროკავშირმა დაასახელა ის გარემოება, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, მესამე ქვეყნებში წარმოებული ცოცხალი ცხოველების და ცხოველური წარმოშობის პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისათვის აუცილებელი სერტიფიკატები, მიუხედავად მათი შინაარსობრივი მსგავსებისა, ევროკავშირის საბჭოს 1976 წლის 21

6 იხილეთ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს ვებ-გვერდი: www.eugbc.net – EUGBC Brochures

დეკემბრის No 79/542 გადაწყვეტილების შესაბამისად, სხვადასხვა ფორმით იყო შედგენილი. ამდენად, ოპტიმიზაციის მიზანი, ერთი მხრივ, მესამე ქვეყნებისათვის ევროკავშირის ბაზარზე შესატანი პროდუქციის სერტიფიცირების გაიოლება და მეორე მხრივ, ევროკავშირის შესაბამისი სამსახურებისათვის სერტიფიკატებში ასახული ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის ეფექტურობის ამაღლება გახლდათ. სერტიფიცირების ხსენებული ოპტიმიზაცია ასევე აიოლებს ევროკავშირის საზღვარზე კონტროლის პროცედურებს, რის შედეგადაც, მნიშვნელოვნად იზოგება როგორც სასაზღვრო ინსპექტორთა, ასევე ექსპორტიორთა დრო და ადამიანური რესურსი.

ზემოხსენებული ოპტიმიზაციის შედეგად შემუშავდა ოთხი სახის ვეტერინარული სერტიფიკატი პროდუქტების შემდეგი სახეობებისათვის:

- ცოცხალი ცხოველები;
- ცხოველური წარმოშობის პროდუქტები;
- ევროკავშირში ტრანზიტის და შენახვის მიზნით შეტანილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტი;
- სპერმა, ემბრიონი და კვერცხუჯრედი.

აღნიშნული სერტიფიკატების პირველ ნაწილში მოცემულია ინფორმაცია გადასატვირთი (საექსპორტო) პროდუქციის შესახებ, ხოლო მათი მეორე ნაწილი, გადასატვირთი (საექსპორტო) პროდუქციის ამ სახეობათა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით სერტიფიცირებას შეეხება. ზემოხსენებული სერტიფიკატები და მათი შევსების წესები ევროკომისიის 2007 წლის 16 აპრილის No 240 გადაწყვეტილების დანართშია მოცემული.

მესამე ქვეყნებიდან ცოცხალი ცხოველებისა და ახალი ხორცის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის პრობლემატიკის შესწავლა კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის სავაჭრო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მკაცრ მონიტორინგს, ვინაიდან ხსენებული კანონმდებლობა განახლებისა და ოპტიმიზაციის მუდმივ პროცესშია.

ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებისათვის მესამე ქვეყნებში წარმოებული ცოცხალი ცხოველების, ახალი ხორცისა და ხორცის პროდუქტების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სერტიფიცირების საკითხი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ამავე დროს, რთულად რეგულირებად თემას წარმოადგენს. მესამე ქვეყანაში წარმოებული ცოცხალი ცხოველების, ახალი ხორცის და ხორცის პროდუქტების ჯანმრთელობის დაცვის კუთხით სერტიფიცირებას

ევროკავშირის საბჭოს 1972 წლის 12 დეკემბრის No 72/462 დირექტივა[7] არეგულირებს.

ზემოხსენებული დირექტივა ცალსახად განასხვავებს ცოცხალი ცხოველების და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების სერტიფიცირების პროცედურებს. დირექტივის ის ნაწილი, რომელიც ცოცხალი ცხოველების ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებს ეხება, ძირითადად, ცხოველების ვაქცინაციის ნორმებს შეიცავს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ხაზგასასმელია ოფიციალური ვეტერინარის როლი, რომელიც ევროკავშირის წევრი ან მესამე ქვეყნის მიერ, როგორც ოფიციალური პირი, უფლებამოსილია დაამოწმოს ვეტერინარული და ჯანმრთელობის სერტიფიკატი.

ევროკავშირის საბჭოს 1972 წლის 12 დეკემბრის No 72/462 დირექტივა ცალკე არეგულირებს ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ჯანმრთელობის დაცვის კუთხით სერტიფიცირების პროცედურას. ამავე დროს, იგი მკაცრად განასხვავებს მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე საექსპორტო ახალი ხორცისა და ხორცის პროდუქტების სერტიფიკატებს. შესაბამისად, პროდუქციის ზემოხსენებული სახეობებისათვის ორი სხვადასხვა ტიპის სერტიფიკატია შემუშავებული. ხსენებული სერტიფიკატის ფორმები ევროკავშირის საბჭოს 1972 წლის 12 დეკემბრის No 72/462 დირექტივაშია მოცემული.

როგორც წინამდებარე პუბლიკაციის პირველ თავში იყო აღნიშნული, ცოცხალი ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ევროკავშირში ექსპორტზე უფლებამოსილი მესამე ქვეყნების ჩამონათვალის გარდა, ევროკომისია ადგენს მესამე ქვეყნების იმ საწარმოთა ჩამონათვალსაც, რომელთაც უფლება აქვთ განახორციელონ ცოცხალი ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე. ხსენებულ ჩამონათვალში საწარმოთა შეტანის მიზნით, ევროკომისიის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ვეტერინარული ექსპერტების მიერ საწარმოს ადგილზე ინსპექტირება ტარდება. ინსპექტირებისას დგინდება, აკმაყოფილებს თუ არა ესა თუ ის საწარმო ევროკავშირის საბჭოს 1972 წლის 12 დეკემბრის No 72/462 დირექტივის პირობებს.

7 იხილეთ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს ვებ-გვერდი: www.eugbc.net – EUGBC Brochures.

## 3. ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის მიზნით, მესამე ქვეყნებში წარმოებული შინაური ფრინველის, ფრინველის ხორცის, კვერცხისა და კვერცხის პროდუქტების სერტიფიცირების ძირითადი ასპექტები

ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის, ასევე ევროკავშირის ტერიტორიაზე დროებითი შენახვისა და ტრანზიტის მიზნით, მესამე ქვეყნებში წარმოებული შინაური ფრინველის, ხმელეთის ფრინველის (მაგ. სირაქლემა), ინკუბაციისათვის გამიზნული კვერცხის, ერთდღიანი წიწილების (ყველა სახის ცოცხალი შინაური ფრინველი, რომლის ინკუბაციიდან 72 საათზე ნაკლებია გასული და რომელსაც საკვები მიღებული არ აქვს), შინაური და გარეული ნანადირევი ფრინველის ხორცის (დაკეპილი და მექანიკური გზით დანაწევრებული ხორცის ჩათვლით), კვერცხის, კვერცხის პროდუქტების და საპროფიტი (არა პათოგენური) კვერცხების სერტიფიცირების საკითხებს ევროკომისიის 2006 წლის 28 აგვისტოს No 696 გადაწყვეტილება[8] არეგულირებს.

ევროკავშირის ბაზარზე შინაური ფრინველის, კვერცხის და კვერცხის პროდუქტების ექსპორტის განხორციელება მხოლოდ იმ მესამე ქვეყნებიდან არის შესაძლებელი, რომლებიც ევროკომისიის მიერ შედგენილ სიაში არიან ჩართული. ხსენებული სია ევროკომისიის 2006 წლის 28 აგვისტოს No 696 გადაწყვეტილებას ერთვის თან. საგულისხმოა, რომ მესამე ქვეყანათა ხსენებულ სიაში ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცის არცერთი ქვეყანა არ არის ჩართული. თანდართული სია საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მის მეოთხე სვეტში, იმპორტიორი ქვეყნის გასწვრივ მითითებულია სერტიფიკატის ის სახეობა, რომელიც ამ ქვეყნის მწარმოებელმა ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთისას უნდა წარადგინოს. გარდა ამისა, ამ სიის მეხუთე სვეტში მოცემულია ინფორმაცია, ევროკავშირის ამა თუ იმ წევრი ქვეყნის მიერ ვეტერინარულ სერტიფიკატში დამატებითი გარანტიების ჩართვის მოთხოვნის შესახებ.

საგულისხმოა, რომ, ცოცხალი ცხოველების და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების მსგავსად, ევროკავშირის ბაზარზე შინაური და გარეული ნანადირევი ფრინველის ხორცის ექსპორტთან დაკავშირებით, ევროკომისიას მესამე ქვეყნების სპეციალური სია აქვს დამტკიცებული. ამ სიაში ის მესამე ქვეყნები შედიან, რომელთაც ევროკავშირის ბაზარზე შინაური და გარეული ნანადირევი ფრინველის ხორცის ექსპორტის უფლება გააჩნიათ. ხაზგასასმელია, რომ ამ სიაში ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრციდან მხოლოდ რუსეთის ფედერაციაა წარმოდგენილი. პროდუქციის ზემოსხენებული სახეობისათვის სერტიფიცირების სპეციალური ნორმებია შემუშავებული.

8 იხილეთ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს ვებ-გვერდი: www.eugbc.net – EUGBC Brochures

სპეციალური ვეტერინარული სერტიფიკატია შემუშავებული ასევე შინაური ფრინველის იმ პროდუქციისათვის, რომელიც ევროკავშირის ტერიტორიაზე დროებით შესანახად, ან ევროკავშირის ტერიტორიაზე ტრანზიტისთვის არის განკუთვნილი.

ისევე, როგორც მესამე ქვეყანაში წარმოებული ცოცხალი ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისას, შინაური ფრინველისა და კვერცხის ექსპორტის შემთხვევაშიც ევროკავშირი მესამე ქვეყნის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ აუცილებელი კონტროლის განხორციელებას თავად მწარმოებელ ქვეყანაში ითხოვს. ამ თვალსაზრისით, ევროკავშირის მოთხოვნაა, რომ შინაური ფრინველისა და კვერცხის იმპორტი მხოლოდ იმ კომპანიების მიერ იქნეს განხორციელებული, რომლებიც მესამე ქვეყნის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ არიან უფლებამოსილნი და, შესაბამისად, სათანადო კონტროლს გადიან კიდეც.

ევროკომისიის 2006 წლის 28 აგვისტოს No 696 გადაწყვეტილება ადგენს, ასევე, ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის, დროებითი შენახვის და ამ ბაზრის გავლით ტრანზიტის მიზნით, მესამე ქვეყნებში წარმოებული შინაური ფრინველის, შინაური და გარეული ნანადირევი ფრინველის ხორცის, კვერცხისა და კვერცხის პროდუქტების ტრანსპორტირების წესებს.

ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის, დროებითი შენახვის და ამ ბაზრის გავლით ტრანზიტის მიზნით, მესამე ქვეყნებში წარმოებული შინაური ფრინველის, შინაური და გარეული ნანადირევი ფრინველის ხორცის, კვერცხისა და კვერცხის პროდუქტების ვეტერინარული სერტიფიკატების ტიპები სასაქონლო ჯგუფების სამი კატეგორიის მიხედვით შეიძლება დაიყოს. ეს კატეგორიებია:

1. **შინაური ფრინველის, ხმელეთის ფრინველის** (მაგალითად სირაქლემა), ყველა სახის ცოცხალი შინაური ფრინველის, რომლის ინკუბაციიდან 72 საათზე ნაკლებია გასული და რომლებსაც საკვები მიღებული არ აქვს, ინკუბაციისათვის გამიზნული კვერცხების და საპროფიტი (არა პათოგენური) კვერცხებისათვის;
2. **გარეული ნანადირევი და შინაური ფრინველის ხორცის** (დაკეპილი და მექანიკური გზით დანაწევრებული ხორცის ჩათვლით), კვერცხის და კვერცხის პროდუქტებისათვის;
3. შესანახად და/ან სატრანზიტოდ გამიზნული შინაური ფრინველის პროდუქციისათვის.

პირველი კატეგორიის სასაქონლო ჯგუფის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისათვის ევროკომისიამ ვეტერინარული სერტიფიკატები

პროდუქციის შემდეგი სახეობებისათვის შეიმუშავა:

- გასამრავლებელი შინაური ფრინველი, ხმელეთის ფრინველის (მაგ. სირაქლემა) გარდა;
- გასამრავლებელი ხმელეთის ფრინველი (მაგ. სირაქლემა);
- შინაური ფრინველი, რომლის ინკუბაციიდან მხოლოდ 72 საათია გასული, ხმელეთის ფრინველის (მაგ. სირაქლემა) გარდა;
- ხმელეთის ფრინველი (მაგ. სირაქლემა), რომლის ინკუბაციიდან მხოლოდ 72 საათია გასული;
- შემდგომი ინკუბაციისათვის განკუთვნილი შინაური ფრინველის კვერცხები, ხმელეთის ფრინველის (მაგ. სირაქლემა) გარდა;
- შემდგომი ინკუბაციისათვის განკუთვნილი ხმელეთის ფრინველი (მაგ. სირაქლემა) კვერცხები;
- საპროფიტი (არა პათოგენური) კვერცხები;
- დასაკლავი შინაური ფრინველი;
- დასაკლავი ხმელეთის ფრინველი (მაგ. სირაქლემა).

მეორე კატეგორიის სასაქონლო ჯგუფის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისათვის ევროკომისიამ სერტიფიკატები პროდუქციის შემდეგი სახეობებისათვის შეიმუშავა:

- ვეტერინარული სერტიფიკატი შინაური ფრინველის ხორცისათვის;
- ვეტერინარული სერტიფიკატი შინაური ფრინველის გატარებული ან მექანიკური გზით დანაწევრებული ხორცისათვის;
- ვეტერინარული სერტიფიკატი ადამიანების საკვებად გამიზნული, ფერმაში მოშენებული ხმელეთის ფრინველის (მაგ. სირაქლემა) ხორცისათვის;
- ვეტერინარული სერტიფიკატი ადამიანების საკვებად გამიზნული, ფერმაში მოშენებული ხმელეთის ფრინველის (მაგ. სირაქლემა) გატარებული ან მექანიკური გზით დანაწევრებული ხორცისათვის;
- ვეტერინარული სერტიფიკატი გარეული ნანადირევი ფრინველის ხორცისათვის;
- ვეტერინარული სერტიფიკატი გარეული ნანადირევი ფრინველის გატარებული ან მექანიკური გზით დანაწევრებული ხორცისათვის;
- ჯანმრთელობის სერტიფიკატი **კვერცხებისათვის;**
- ჯანმრთელობის სერტიფიკატი კვერცხის პროდუქტებისათვის.

ევროკავშირის ტერიტორიაზე შესანახად და/ან სატრანზიტოდ გამიზნული შინაური ფრინველის პროდუქციის სერტიფიცირებისათვის ევროკომისიას შემუშავებული აქვს ერთი უნივერსალური ტიპის

სერტიფიკატი, რომელიც ვრცელდება როგორც შინაური, ასევე ხმელეთის და გარეული ფრინველის დაკეპილი ან მექანიკურად დანაწევრებული ხორცის პროდუქტებზე, ასევე ყველა სახის ფრინველის კვერცხის პროდუქტებზე.

ყველა ზემოხსენებული ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმები და მათი შევსების წესები ევროკომისიის 2006 წლის 28 აგვისტოს No 696 გადაწყვეტილების დანართებშია მოცემული.

## 4. ცოცხალი ცხოველების, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ფრინველის, ფრინველის ხორცისა და კვერცხის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის შესახებ, მესამე ქვეყნის განაცხადის ევროკავშირის მიერ დამტკიცების პროცედურა

ცოცხალი ცხოველების, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ფრინველის, ფრინველის ხორცისა და კვერცხის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტზე ევროკავშირის თანხმობის მისაღებად, მესამე ქვეყანამ მკაცრად განსაზღვრული პროცედურა უნდა გაიაროს. ამ პროცესში, მესამე ქვეყნის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს განსაკუთრებული როლი ენიჭება. სწორედ ის ხდება დამაკავშირებელი რგოლი მესამე ქვეყნის ექსპორტიორებსა და ევროკავშირს შორის. ის პასუხისმგებელი ხდება, ერთი მხრივ მესამე ქვეყნის მწარმოებლის წინაშე, რომ პროდუქციასთან დაკავშირებული ინფორმაცია ევროკავშირის სტანდარტების სრული დაცვით მიეწოდოს ევროკომისიას, ხოლო მეორე მხრივ, ევროკავშირის წინაშე იღებს ვალდებულებას, რომ როგორც წარმოების პროცესი, ასევე მის მიერ გამოშვებული საექსპორტო პროდუქტი ევროკავშირის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაშია მოყვანილი.

ევროკავშირის საბოლოო თანხმობის მიღება, როგორც წესი, მხოლოდ ევროკომისიის სურსათისა და ვეტერინარიის ოფისის მიერ, მესამე ქვეყნებში სათანადო ინსპექტირების ჩატარების შემდეგ ხდება. ხსენებული ინსპექტირებისას ევროკომისიის ექსპერტები ადგენენ:

- დამაკმაყოფილებელია თუ არა მსხვილფეხა რქოსანი ცხოველების, ასევე ზოგადად, ადგილობრივი ცოცხალი ცხოველების ჯანმრთელობის დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა, იშვიათი (ეგზოტიკური) სახის ცხოველურ დაავადებებთან მიმართებაში;

- თუ რა საფრთხეები არსებობს როგორც ცხოველების ჯანმრთელობის, ასევე ცხოველების მოშენებისა და რეწვისას გარემოს დაცვის კუთხით, რომლებმაც ევროკავშირის სივრცეზე გავლენა შეიძლება იქონიონ;
- შეესაბამება თუ არა მესამე ქვეყნის კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას, ცოცხალი ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქციის წარმოების სფეროში;
- თუ რამდენად ეფექტური და გამართულია მესამე ქვეყნის კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურები, რამდენად შეუძლიათ მათ უზრუნველყონ ევროკავშირის მიერ მოთხოვნილი ვეტერინარული კონტროლის დონე და რამდენად ეფექტურად არის განსაზღვრული ამ სტრუქტურათა უფლება-მოვალეობები;
- თუ რამდენადაა უზრუნველყოფილი ადექვატური კავშირები მესამე ქვეყნის კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურების ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ სამსახურებს შორის;
- თუ რამდენად არიან დამოუკიდებელი მესამე ქვეყნის კომპეტენტური სახელმწიფო სახელმწიფო სტრუქტურები და ამ სტრუქტურების თანამშრომლები „გარე“ ზეწოლისაგან;
- დამაკმაყოფილებელია თუ არა მესამე ქვეყნის კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომელთა კვალიფიკაცია და ტექნიკური აღჭურვილობა იმ დიაგნოსტიკური აპარატურის ჩათვლით, რომელიც ცხოველურ დაავადებათა აღმოსაჩენადაა აუცილებელი;
- თუ რამდენად გამჭვირვალედ ინიშნებიან ახალი თანამშრომლები მესამე ქვეყნის კომპეტენტური სახელმწიფო სრტუქტურების ვაკანტურ თანამდებობებზე და ტარდება თუ არა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები ამ სტრუქტურების თანამშრომელთათვის;
- შეუძლიათ თუ არა მესამე ქვეყნის კომპეტენტურ სახელმწიფო სრტუქტურებს ეფექტურად მოახდინონ მესამე ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზაცია;
- არის თუ არა მესამე ქვეყანა ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (World Organisation for Animal Health) წევრი;
- შეუძლია თუ არა მესამე ქვეყანას, დაინტერესებულ მხარეს, რეგულარულად და ოპერატიულად მიაწოდოს ინფორმაცია, მის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის ცხოველური ინფექციისა და დაავადებების აღმოჩენასთან დაკავშირებით;
- შეუძლია თუ არა მესამე ქვეყანას, ევროკომისიისა და

ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოთხოვნის შესაბამისად, 24 საათში გასცეს ინფორმაცია ძირითადი ცხოველური დაავადებების აღმოჩენის თაობაზე და იმ ცვლილებებზე, რომლებიც ამ დაავადებათა ვაქცინაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში ხორცილდება;

- შეუძლია თუ არა მესამე ქვეყანას რეგულარულად აცნობოს ევროკომისიასა და ევროკავშირის წევრ დაინტერესებულ ქვეყნებს, მის ტერიტორიაზე ცოცხალი ცხოველების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მდგომარეობის თაობაზე;
- ახორციელებს თუ არა მესამე ქვეყანა მის ბაზარზე ცოცხალი ცხოველების და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების იმპორტის ეფექტურ კონტროლს და განხორციელებული კონტროლის შედეგების მონიტორინგს;
- თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია, ევროკომისიის მიერ, მესამე ქვეყანაში განხორციელებული ინსპექტირების შედეგები, ან, ევროკომისიის მოთხოვნის შესაბამისად, მესამე ქვეყნის შესაბამისი კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგები;
- თუ როგორია მესამე ქვეყანაში ცხოველური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მოქმედი წესები და ამ წესების აღსრულების კუთხით არსებული მდგომარეობა;
- არსებობს თუ არა მესამე ქვეყანაში ცხოველურ დაავადებათა გავრცელების კონტროლის მკაფიოდ ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც ეფექტურად ფუნქციონირებს;
- ახერხებენ თუ არა მესამე ქვეყნის საწარმოები ევროკავშირის ბაზრისათვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების წარმოების, შენახვისა და ტრანსპორტირების პროცესში ევროპული სტანდარტების შესაბამისი ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფას;
- არსებობს თუ არა მესამე ქვეყანაში ვეტერინარული მედიცინის პროდუქტების გამოყენების და/ან აკრძალვის, ასევე მათი დისტრიბუციის ადმინისტრირებისა და კონტროლის მკაფიო სისტემა;
- არსებობს თუ არა მესამე ქვეყანაში ცოცხალი ცხოველების საკვების დამზადების, ხსენებულ საკვებში სხვადასხვა სახის, მათ შორის სამედიცინო დანამატების შეტანის მკაცრი წესები. ხორციელდება თუ არა ცოცხალი ცხოველების საკვების დამზადებაში გამოყენებული ნედლეულის ჰიგიენური კონტროლი;
- არსებობს თუ არა მესამე ქვეყანაში ცოცხალი ცხოველების

რეწვასთან დაკავშირებული ნარჩენების კონტროლის სისტემა და რამდენად ეფექტურად ფუნქციონირებს იგი;

- შეუძლია თუ არა მესამე ქვეყნის კომპეტენტურ სახელმწიფო სტრუქტურას უზრუნველყოს იმ საწარმოთა ევროკავშირის ბაზრის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელთაც ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირება სურთ;
- შეუძლია თუ არა მესამე ქვეყნის კომპეტენტურ სახელმწიფო სტრუქტურას, უფლებამოსილ კომპანიათა სიის განახლების შემთხვევაში, ახალი სიის ევროკომისიისათვის დროულად მიწოდება;
- ახორციელებს თუ არა მესამე ქვეყნის კომპეტენტური სტრუქტურა ხსენებული კომპანიების სისტემატურ და ეფექტურ კონტროლს.

ცოცხალი ცხოველების, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ფრინველის, ფრინველის ხორცის, კვერცხისა და კვერცხის პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტზე თანხმობის მისაღებად, მესამე ქვეყნის კომპეტენტურმა სახელმწიფო სტრუქტურამ, პირველ რიგში, ევროკომისიას ოფიციალური განაცხადი უნდა გაუგზავნოს. განაცხადი შემდეგ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს:

- იმ ცხოველური წარმოშობის პროდუქტების დეტალური აღწერა, რომლის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტსაც მესამე ქვეყანა გეგმავს;
- ამ პროდუქტებით ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობის სავარაუდო მოცულობა და ევროკავშირის იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომლებშიც აღნიშნული პროდუქტის ექსპორტი იგეგმება;
- ცოცხალი ცხოველების ექსპორტირების შემთხვევაში, მითითებული უნდა იყოს მათი დანიშნულება – გასამრავლებელი, სარეწი, დასაკლავი;
- ცხოველური წარმოშობის **პროდუქტების დამუშავების** პროცედურის აღწერა (მაღალ ტემპერატურაზე დამუშავება, შებოლვა, დამარილება, ა.შ.);
- იმ საწარმოების ჩამონათვალი, რომლებიც ხსენებული ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტს გეგმავენ.

ზემოაღნიშნული განაცხადის მიღების შემდეგ, ევროკომისია აცნობებს მესამე ქვეყნის კომპეტენტურ სახელმწიფო სტრუქტურას განაცხადის შესწავლის დაწყების შესახებ და ადგილზე

ინსპექტირების მიზნით, ევროკომისიის სპეციალური მისიის წარგზავნამდე, წინასწარი შესწავლის კითხვარს (pre-mission questionnaire) უგზავნის მას. ევროკომისიის თვრამეტგვერდიან კითხვარში[9] უნდა მიეთითოს ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მესამე ქვეყნის გეოგრაფიული მონაცემები, ცოცხალი ცხოველების როდენობა, ცოცხალი ცხოველების ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ეროვნული კანონმდებლობა, ქვეყანაში დაფიქსირებული ცხოველური დაავადებები, ცხოველების ვაქცინაცია, მესამე ქვეყნის კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურის მართვა, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ანალიზის ლაბორატორიები, წარმოების ნარჩენებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქციის სერტიფიცირების კონტროლი და სხვა.

აღნიშნული კითხვარის შევსების შემდეგ, მესამე ქვეყნის საექსპორტო პროდუქციასთან დაკავშირებულ ეროვნულ კანონმდებლობასთან და წარმოების ნარჩენების მონიტორინგის ეროვნულ პროგრამასთან ერთად, მესამე ქვეყნის კომპეტენტური სახელმწიფო სრტუქტურა ევროკომისიას უგზავნის. ევროკომისია შეისწავლის კითხვარში მითითებულ ინფორმაციას. ამის შემდეგ, დამატებითი განმარტებების მისაღებად და აღმოჩენილ პრობლემათა გადასაწყვეტად, ევროკომისია მესამე ქვეყნის კომპეტენტურ სახელმწიფო სტრუქტურასთან ინტერაქტიულ რეჟიმში თანამშრომლობას იწყებს. იმ შემთხვევაში, თუ ევროკომისიას აკმაყოფილებს კითხვარში ასახული ინფორმაცია, ის ინსპექტირების განსახორციელებლად, მესამე ქვეყანაში აგზავნის ევროკომისიის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის გენერალური დირექტორატის (DG SANCO) სურსათისა და ვეტერინარიის ოფისის (FVO) მისიას. FVO-ს მისიის ინსპექტირების შედეგები მესამე ქვეყნის ხელისუფლებას, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, ევროკომისიის შესაბამის სამსახურებს და ევროპარლამენტს ეგზავნებათ.

იმ შემთხვევაში, თუ FVO-ს მისიის დასკვნა დადებითია და წინასწარი შესწავლის პროცესში მხარეებს შორის წამოჭრილი პრობლემები წარმატებით მოგვარდა, ევროკომისია შესაბამისი საკანონმდებლო დოკუმენტის პროექტს ამზადებს, რაც შემდეგს გულისხმობს:

- ზემოაღნიშნული მესამე ქვეყანა უნდა დაემატოს მესამე ქვეყნების იმ სიას, საიდანაც ხსენებული კონკრეტული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტი ნებადართულია;

9 იხილეთ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს ვებ-გვერდი: www.eugbc.net – EUGBC Brochures.

- დამტკიცდეს მესამე ქვეყნის წარმოების ნარჩენების მონიტორინგის ეროვნული პროგრამა;
- შეთანხმდეს მესამე ქვეყნების საწარმოთა სია, რომლებიც ევროკავშირის ბაზარზე ამ კონკრეტული პროდუქციის ექსპორტს განახორციელებენ.

საბოლოოდ, ევროკომისია ამტკიცებს შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტს და აქვეყნებს მას ევროკომისიის ოფიციალურ ჟურნალში[10]. სწორედ ამ მომენტიდან შეუძლიათ მესამე ქვეყნის შერჩეულ საწარმოებს, წინასწარ შეთანხმებული სახეობის ცოცხალი ცხოველების, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ფრინველის, ფრინველის ხორცის, კვერცხის და კვერცხის პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე ლეგალური ექსპორტის განხორციელება.

10 ევროკავშირის შიდა ბაზრის მარეგულირებელი საკანონმდებლო დოკუმენტები, როგორც წესი, ძალაში შედის ევროკომისიის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების მომენტიდან.

## დანართი

### კუბლიკაციაში გამოყენებული ევროკავშირის საკანონმდებლო დოკუმენტები[11]

- ევროკავშირის საბჭოს 2002 წლის 16 დეკემბრის No 99 დირექტივა;
- ევროკავშირის საბჭოს 1976 წლის 21 დეკემბრის No 79/542 გადაწყვეტილება;
- ევროკომისიის 2007 წლის 16 აპრილს No 240 გადაწყვეტილება;
- ევროკავშირის საბჭოს 1972 წლის 12 დეკემბრის No 72/462 დირექტივა;
- ევროკომისიის 2006 წლის 28 აგვისტოს No 696 გადაწყვეტილება;

11 საკანონმდებლო დოკუმენტები იხილეთ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბ-ჭოს ვებ-გვერდზე: www.eugbc.net – EUGBC Brochures

# SUMMARY

## Certification of the live animals, products of animal origin, poultry, meat of poultry and eggs exported to the European Union market from third countries

### 1. Foreword

The present publication provides for general understanding of the European Union certification policy towards the live animals, meet products, poultry, poultry meet and eggs of third countries. The rules represent a complex set of legislative acts of the EU. The EU certification rules in general are harmonized but there also are exceptions dealt at the national level.

The vast majority of the EU certificates aim at health protection of both animals and consumers. Therefore, the issue falls within the competence of the European Commission's Health and Consumer Protection Directorate General (DG SANCO). In this juncture the EU Council Directive No 99 of December 16th 2002 is explored. The directive puts forward main principles of EU certification focusing on how the certificates should be filled, for which period of time the certificates are valid, etc. This part of the publication also speaks about the national authority (often referred to as the "competent authority") of a third country which, in a way, assumes a role of a mediator between the third country exporter company and the European Commission. This chapter also mentions the questionnaire of the European Commission which any third country's national authority should submit before the exporter is actually authorized to enter the EU market.

### 2. Main aspects of certification of live animals and animal products exported to the EU from third countries

The second chapter of the publication focuses on certification of those animals and animal products which are typical for Georgia. Those categories mainly are bovine and porcine, as well as fresh meat and other traditional Georgian products of animal origin. In this respect the EU Council Decision No 79/542 of December 21, 1976 was studied. The legislation contains the list of those countries which are authorized to export the above-mentioned categories of products to the EU, as well as transportation rules for live animals, forms of respective certificates, etc.

Further, the chapter speaks about the process of recognition of a third country by the

EU as eligible to export animal products to the EU market. In this respect reference is made to the chapter four of the brochure in which the issue is discussed in details.

This chapter introduces the main EU rules on transportation of live animals from third countries. Here, 8 different product categories for bovine and porcine species are presented. The EU production regulations on slaughter and breeding of live animals are also discussed.

In addition, reference is made to the EU Council decision No 79/542 and main categories of the fresh meat products are introduced. This chapter also speaks about the production specifications for the fresh meet. It explores the European Commission Decision of April 16, 2007 No 240 which contains significant amendments to the EU Council decision of No 79/542. The document introduces forms of EU veterinary certificates which are in force presently. The brochure presents four main forms of veterinary certificates which currently are endorsed by the EU.

The second chapter also discusses the EU health certification rules of the animal products. The issue is regulated by the EU Council Decision No 72/462 of December 12th 1972. It should be underlined that the legislation draws clear line between the heath certification of live animals and animal products.

## 3. Main aspects of certification of poultry, hatching eggs, day-old chicks, meat of poultry, ratites and wild game-birds, eggs and egg products exported from third countries into the EU market

This chapter introduces the main EU rules which regulate veterinary and health certification of poultry, hatching eggs, day-old chicks, meat of poultry, ratites and wild game-birds, eggs and egg products exported from third countries into the EU. In this respect the Commission Decision No 696 of August 28 2006 is the main legislative document. Apart from the export norms it lays down the veterinary certification conditions for transit through and storage in the EU. Like in case of live animals and animal products, there are certain third countries which are authorized to export poultry and eggs products to the EU. The Commission decision No 696 contains a list of these countries. A separate list of those countries which are eligible to export their wild game-birds to the EU is also attached to the Commission decision.

The EU legislation defines three main categories of products for poultry, hatching eggs, day-old chicks, meat of poultry, ratites, wild game-birds and eggs. Those are: 1. poultry, hatching eggs and day-old chicks; 2. meat, minced meat and mechanically separated meat, of poultry, ratites and wild game-birds; 3. poultry, ratites and wild game-birds for storage or transit. As it is provided below the

first two categories are further divided on sub-categories for which the separate certificate forms are elaborated. As for products for storage and transit a single EU certificate is applied.

## 4. The procedure of a third country application approval by the EU of a third country application for export of live animals, animal products, poultry, poultry meat and egg to the EU market

There is a strict EU procedure for approval of a third country application for export of products of the animal origin. In this respect the national authority has a main role to play. The national authority submits a formal request for approval to the European Commission services. This includes the information on the type of animal/product for which approval is sought, anticipated volume of trade, class of animals (e.g. breeding, fattening, slaughter) involved, number and type of establishments (companies) considered to meet EU requirements, etc. The formal request should also include confirmation that all proposed establishments satisfy EU requirements.

Once the European Commission receives the application it acknowledges the request and sends the relevant pre-mission questionnaire. The national authority submits completed questionnaire for approval with copies of the national legislation applicable to the animals/products concerned. Outstanding issues between the national authorities and the Commission are dealt bilaterally.

If the European commission approves third country application it includes the country in the list of the eligible states and publishes the respective decision in the official journal of the EU.